თოვლი ფეხბურთს არ ამშვენებს

კიევი "დინამოს" რესპუბლიკური სტადიონი 14 ნოემბერი

"დინამო" (კიევი) – "დინამო" (თბილისი) 1:0 (1:0).

"დინამო" (კიევი) ჩანოვი, შმატოვალენკო (კორნეცი), ბალი, კუზნეცოვი, დუმინენკო, რაცი, მოხაილიჩენკო, ლიტოვჩენკო, გორთლი, პროტასოვი, ბელანოვი (კონჩელსკოსი).

"დინამო" (თბილისი): გაბელია, თეთრაძე, ცხადაძე, ჭედია, არზიანი, თევზაძე (აფციაური), სვანაძე, თედეევი, ცაავა, ფანცულაია, გოგიჩაიშვილი.

მსაჯი ტ. ბუზუბიაკი (ლენინგრადი).

დუბლიორები– 1:0.

როგორი სატურნირო მდგომარეობაც არ უნდა ჰქონდეთ ჩვენი ქვეყნის ამ ორ ტიტულოვან კლუბს, მათ შეხვედრას ყოველთვის მრავლად ჰყავს მაყურებელი, ვინაიდან ორი სხვადასხვა თამაშის ხელწერის კოლექტივის ნახვა ყველას დიდ სიამოვნებას ჰგვრის, მაგრამ ალბათ, გულშემატკივრებს არ ახსოვს ისეთი მკირერიცხოვანი აუდიტორია, როგორიც კიევის რესპუბლიკურ სტადიონზე 14 ნოემბერს იყო. 11 500 კაცი ესწრებოდა თამაშს, რომელსაც ორივე გუნდისთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. კიეველები ვერცხლის მედლების ერთ–ერთი რეალური პრტენდენტები, ძალას არ იშურებენ, რათა მიაღწიონ ამ მიზანს – თბილისის "დინამოს" კოლექტივი კი ამ დღეს წარმატების შემთხვევაში საგრძნობლად გაიუმჯობესებდა სატურნირო მდგომარეობას. ესეც რომ არა, რომელ შეხვედრაში შეიძლება გაიარონ უკეთესი სკოლა თბილისელმა ახალგაზრდა მოთამაშეებმა თუ არა საბჭოთა კავშირისა და ევროპის ერთ–ერთ უძლიერეს კლუბ კიევის "დინამოსთან" ბრძოლაში. რესპუბლიკური სტადიონის 100 ათასიანი ტრიბუნები კი ამ დღეს თითქმის ცარიელი იყო, რაშიც გულშემატკივრებს ვერ დავადანაშაულებთ. ისეთ თოვლში როგორიც იმ დღეს უკრაინის დედაქალაქში მოდიოდა. რა გინდ არ უნდა გიყვარდეს შენი გუნდი და ფეხბურთი, მისვლას ვერ გაბედავდი, საფეხბურთო მინდორზე (თუ შეიძლება ასე ეწოდოს თოვლის ბორცვებით სავსე ველს) ბრძოლას ყოველგვარი ელფერი ეკარგებოდა.

უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც ერთი და იგივე თემაზე გვიხდება საუბარი სეზონის ბოლოს, რომ ასეთ პირობებში ფეხბურთის თამაში კი არა, რომ იტყვიან, ძაღლიც არ გაიგდება გარეთ. საკავშირო სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველო კი, რატომღაც, ყურად არ

იღებს იმ ათასობით თხოვნას თუ საჩივარს, რომელიც მას ყოველწლიურად მისდის. საინტერესოა, ვის შეიძლება, რომ ხელს არ აძლევდეს ნორმალურ პირობებში თამაში?

ახლა კი უშუალოდ მატჩის შესახებ... შეხვედრა მასპინძელთა იერიშებით დაიწყო. უკვე ორთაბრძოლის მე–16 წუთზე კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს მიუსწრო ბელანოვმა და გახსნა ანგარიში – 1:0. თბილისელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათთვის უჩვეულო პირობებში, თანაც საბჭოთა ფეხბურთის ფლაგმანი კიეველების წინაშე ფარ–ხმალი არ დაუყრიათ და რამდენჯერმე ახლოსაც კი იყვნენ მიზანთან.

მსგავსი სურათი იყო შეხვედრის მეორე ნახევარშიც – მასპიძელთა შეტევებს სტუმრების საპასუხო კონტრშეტევები მოსდევდა. ამ დაძაბულ თამაშში, თბილისელებმა ბრძოლისუნარიანობა და ნებისყოფის სიმტკიცე გამოიჩინეს, ყველა ღონე იხმარს და ტოლი არ დაუდეს ავტორიტეტულ მეტოქეს. მაგრამ მარცხს მაინც ვერ გადაურჩნენ – ბელანოვის მიერ პირველ ნახევარში გატანილი ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა ამ შეხვედრაში.

საკავშირო ჩემპიონატის ბოლო მატჩს თბილისელი დინამოელები კვლავ მეტოქის მინდორზე გამართავენ. ეს მოხდება 19 ნოემბერს. მათი მეტოქე ხარკოვის "მეტალისტი" იქნება.

გაიმართა 129-ე ტურის კიდევ ორი შეხვედრა: "დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) – "დინამო" (მინსკი) 4:3, "ჩერნომორეცი" (ოდესა) – "ზენიტი" (ლენინგრადი) 1:2.

ლელო 18 ნოემბერი 1988 წელი